თემატური საინფორმაციო ფურცელი
ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის შესახებ

ნებაყოფლობითი დაბრუნება გულისხმობს იმ მიგრანტების მხარდაჭერას, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ სურთ მიმღებ ან ტრანზიტულ ქვეყანაში დარჩენა და იღებენ გადაწყვეტილებას დაბრუნდნენ წარმოშობის ქვეყანაში ან მესამე ქვეყანაში, რომელიც მზადაა მათ მისაღებად. მათ შეუძლიათ მიიღონ ადმინისტრაციული, ლოგისტიკური და ფინანსური დახმარება, ასევე მხარდაჭერა რეინტეგრაციისთვის.

რას ნიშნავს კონსულტირება დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით

კონსულტირება დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით

გერმანიაში **700-ზე მეტი საკონსულტაციო ცენტრია,** რომლებიც იმართება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

დაბრუნებასთან დაკავშირებით კონსულტირების ფარგლებში, მიგრანტებს ეცნობათ იმ მხარდამჭერი მომსახურების შესახებ, რომლის მიღებაც მათ შეუძლიათ წარმოშობის ქვეყანაში ნებაყოფლობით დაბრუნების შემთხვევაში. ისინი ასევე იღებენ სასარგებლო ინფორმაციას მათი წარმოშობის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ, მაგალითად, განათლების სისტემის, შრომის ბაზრის ან ჯანდაცვის სისტემის შესახებ.

თუ ადამიანი გადაწყვეტს ნებაყოფლობით დაბრუნებას, კონსულტანტი დაეხმარება მას დაბრუნების საკითხებში დახმარების მიღების თაობაზე განაცხადის შეტანაში და გამგზავრების ორგანიზებაში.

ვირტუალური კონსულტირება

ვირტუალური კონსულტირება გერმანიაში მყოფ მიგრანტებს საშუალებას აძლევს ნებაყოფლობით დაბრუნებამდე იურთიერთონ მათი წარმოშობის ქვეყანაში არსებული მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტებთან. კონსულტირება ხორციელდება შესაბამის ეროვნულ ენაზე ონლაინ საკომუნიკაციო არხების მეშვეობით და აწვდის პრაქტიკულ ინფორმაციას რეინტეგრაციისა და წარმოშობის ქვეყანაში არსებულ მიმდინარე სიტუაციასთან ადაპტაციის მხარდასაჭერად.

დამატებითი ინფორმაცია

ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით დახმარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია საინფორმაციო პორტალზე www.ReturningfromGermany.de. პორტალი ხელმისაწვდომია თორმეტ ენაზე და გთავაზობთ დაბრუნებისა და რეინტეგრაციის არსებული პროგრამების მიმოხილვას, ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოშობის ქვეყნების შესახებ.

როგორ მუშაობს ნებაყოფლობითი დაბრუნება?

1 დაბრუნებამდე

მიგრანტების კონსულტირება დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება საკონსულტაციო ცენტრში.

> თუ დაბრუნებით დაინტერესებული პირი გადაწყვეტს ქვეყნის დატოვებას, განაცხადის წარმდგენი სააგენტო აგზავნის განაცხადს დაბრუნების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, რეინტეგრაციაში დახმარების შესახებ.

> განაცხადი განიხილება მოთხოვნების შესაბამისობაზე, და მიღებულ იქნება გადაწყვეტილება.

> უკან დაბრუნება იგეგმება და ორგანიზდება მიგრანტებთან ერთად.

2 დაბრუნება

საკონსულტაციო ცენტრი აცნობებს დასაბრუნებელ პირს გამგზავრების პროცედურის შესახებ, ეხმარება მას სამგზავრო დოკუმენტების მიღებაში და აძლევს მას ცნობას სუბსიდიის გაცემის შესახებ, ასევე შესაძლო მცირეფინანსურ მხარდაჭერას ტრანსპორტირების ხარჯებისთვის.

> აეროპორტში მისვლისთანავე, ბილეთები გაიცემა რეგისტრაციის მაგიდასთან, სამგზავრო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

3 დაბრუნების შემდეგ

რეინტეგრაციის მხარდაჭერა ხელმისაწვდომია სხვადასხვა წარმოშობის ქვეყნის წარმომადგენლებისთვის და განსხვავდება დანიშნულების ქვეყნის, მოქალაქეობის, ბინადრობის სტატუსისა და დაბრუნებული პირის პირადი საჭიროებებიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია

ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით დახმარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია საინფორმაციო პორტალზე www.ReturningfromGermany.de. პორტალი ხელმისაწვდომია თორმეტ ენაზე და გთავაზობთ დაბრუნებისა და რეინტეგრაციის არსებული პროგრამების მიმოხილვას, ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოშობის ქვეყნების შესახებ.

რა არის დაბრუნების პროგრამები?

ნებაყოფლობით დაბრუნებასთან დაკავშირებული დახმარება შესაძლებელია ფედერალური მთავრობის, ფედერალური მხარეებისა და ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული მხარდამჭერი პროგრამების მეშვეობით. მხარდამჭერი მომსახურების გაწევა დამოკიდებულია სხვადასხვა შესაბამისობის **კრიტერიუმზე** (მაგალითად, ფინანსური მდგომარეობა, მოქალაქეობა ან წარმოშობის ქვეყანა).
თუ მონაწილეობის უფლება დადასტურებულია, **მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მომსახურებას:**

- **მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯები**.
- **მგზავრობის ხარჯები** გამგზავრების პუნქტამდე (აეროპორტამდე).
- საჭიროების შემთხვევაში — კონკრეტული **სამედიცინო მხარდაჭერა.**
- **მცირე ფულადი თანხა საწყისი პერიოდისთვის** დანიშნულების ქვეყანაში **ჩასვლის შემდეგ.**

პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ შემდეგ პირებს:

- პირები, რომლებმაც მიმართეს **თავშესაფრის მიღების თხოვნით,** მაგრამ ჯერ არ შეუტანიათ ოფიციალური განაცხადი.
- პირები, რომლებიც გადიან **თავშესაფრის მიღების პროცედურას.**
- პირები, **რომელთა თხოვნა თავშესაფრის მიღების თაობაზე** იქნა უარყოფილი ან/და, **რომლებიც ვალდებულნი არიან დატოვონ ქვეყანა.**
- პირები, **რომლებსაც აქვთ თავშესაფრის უფლება** ან მიიღეს **დეპორტაციის დროებითი გადავადება** (duldung).
- პირები, რომლებიც ოჯახის გაერთიანების ფარგლებში **ქვეყანაში შემოვიდნენ** იმ პირთან ერთად, რომელსაც აქვს ამის უფლება, მაგრამ **თავად არ მიეკუთვნებიან იმ პირთა ჯგუფს, ვისაც ამის უფლება აქვს.**
- პირები, რომლებიც დაზარალდნენ **ადამიანებით ვაჭრობისა** ან **იძულებითი პროსტიტუციისგან.**

დამატებითი კრიტერიუმები დაფინანსების მისაღებად:

- **დაგეგმილია** სამუდამოდ გამგზავრება.
- ადამიანს ადრე არ მიუღია **არანაირი ფინანსური დახმარება.**
- ადამიანს **არ აქვს საკუთარი სახსრები გამგზავრების დასაფინანსებლად.**

დამატებითი ინფორმაცია

ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით დახმარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია საინფორმაციო პორტალზე www.ReturningfromGermany.de. პორტალი ხელმისაწვდომია თორმეტ ენაზე და გთავაზობთ დაბრუნებისა და რეინტეგრაციის არსებული პროგრამების მიმოხილვას, ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოშობის ქვეყნების შესახებ.

რას ნიშნავს რეინტეგრაციის მხარდაჭერა?

წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებულ პირებსეძლევათ ინდივიდუალური მხარდაჭერა, რათა წარმოშობის ქვეყანაში გაუმარტივდეთ ახალი ცხოვრების დაწყება.

მიზანი — მიეცეთ მათ შესაძლებლობა **დაბრუნდნენ უსაფრთხოდ** და მდგრადად. რეინტეგრაციის მხარდაჭერა მიმართულია **დამოუკიდებლობის** და **საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობაზე,** რათა დანიშნულების ქვეყანაში რეპატრიანტებმა შეძლონ თავიანთი ცხოვრების თავიდან აწყობა.

რეინტეგრაციის მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მომსახურებას:

- **ფინანსური მხარდაჭერა.**
- **არაფულადი დახმარება,** მაგალითად, **"საცხოვრებლის" სფეროში.**
- **სარეინტეგრაციოდახმარება,** მაგალითად, **პროფესიული** და **სამეწარმეო სწავლება.**
- დახმარება სამსახურის და **დასაქმებაშიმოძიებასა.**

რეინტეგრაციის მხარდაჭერის უზრუნველყოფა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორიცაა **დაინტერესებული პირის მოქალაქეობა**, რო , ან **დანიშნულების ქვეყანა.**

დამატებითი კრიტერიუმები დაფინანსების მისაღებად:

- **დაგეგმილია** სამუდამოდ გამგზავრება.
- ადამიანს ადრე არ მიუღია **არანაირი ფინანსური დახმარება.**
- ადამიანს **არ აქვს საკუთარი სახსრები გამგზავრების დასაფინანსებლად.**

დამატებითი ინფორმაცია

ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით დახმარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია საინფორმაციო პორტალზე www.ReturningfromGermany.de. პორტალი ხელმისაწვდომია თორმეტ ენაზე და გთავაზობთ დაბრუნებისა და რეინტეგრაციის არსებული პროგრამების მიმოხილვას, ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოშობის ქვეყნების შესახებ.

Bundesamt für Migration und Flüchtlinge

IOM UN MIGRATION

RÜCK KEHR

დაასკანირეთ აქ: